



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000086246544318

№ კ-236

07 / თებერვალი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის #ს-66 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის #ს-66 ბრძანებაში, კერძოდ:
 - 1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„გ. კომისიის მდივანი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მეთხვე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამუნა კიკილაშვილი. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას და არ მონაწილეობს ხმის მიღების პროცესში“.
 - 1.2. ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „დ.ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ.ე. სივრცითი მონყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნაიშვილი“.
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე